ანოტაცია

კლოქსამაქს 600 (CloxaMax 600)

Cloxacillin

ინტრაცისტერნალური ზეთოვანი სუსპენზია, გამოიყენება ვეტერინარიაში

მსხილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის

შემადგენლობა

10 მლ შეიცავს: კლოქსაცილინის ნატრიუმს 600 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ვაზელინი, მზესუმზირის ზეთი.

გარეგნული აღწერა: თეთრი, მოყვითალო, ან კრემისფერი ფერის ზეთოვანი სუსპენზია, დამახასიათებელი სუნით, დაყოვნებისას შესაძლოა დაიყოს ფენებად.

ფარმაკოლოგიური თვისებები

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი აქტიური ნივთიერება კლოქსაცილინის ბენზოატი წარმოადგენს ბეტა-ლაქტამურ ანტიბიოტიკს პენიცილინის წარმოებულს, რომელიც აქტიურია გრამდადებითი ბაქტერიების, პენიცილინ G-რეზისტენტული სტაფილოკოკების (Staphylococcus aureus), ასევე Streptococcus agalactiae, Streptococcus uberis, Streptococcus dysgalactiae, Corynebacterium pyogenes, Clostridium perfringens, Clostridium anaccillustudo, Bacillus anthracis და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმებიდან: Neisseria spp. მიმართ. ნაკლებეფექტურია E. Coli და Klebsiella გამომწვევების მიმართ.

ფარმაკოკინეტიკა: ინტრაცისტერნალურად შეყვანის შემდეგ, აქტიური ნივთიერება სწრაფად ნაწილდება მთელ სარძევე ჯირკვალში. ანტიბიოტიკი უკავშირდება მემბრანასთან დაკავშირებულ ცილებს, რომლებსაც პენიცილინ-შემაკავშირებელ ცილებს (PBP) უწოდებენ და ავლენს ბაქტერიციდულ მოქმედებას. აქტიური ნივთიერება პრაქტიკულად არ აბსორბირდება სარძევე ჯირკვლიდან სისტემურ სისხლძარღვებში, არ განიცდის ბიოტრანსფორმაციას და გამოიყოფა თითქმის უცვლელი სახით რძესთან ერთად.

ჩვენებები

პრეპარატი გამოიყენება მშრალობის პერიოდში მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის მწვავე და სუბკლინიკური მასტიტების სამკურნალოდ, რომლებიც გამოწვეულია სტრეპტოკოკებით, სტაფილოკოკებითა და სხვა პენიცილინაზა მწარმოებელი გრამდადებითი ბაქტერიების მიერ.

უკუჩვენებები

ცხოველის ინდივიდუალური ჰიპერმგრძნობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

გვერდითი მოვლენები

ჩვენებების მიხედვით რეკომენდებული დოზების გამოყენების დროს გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

სამიზნე ცხოველები: მსხვილფეხა პირუტყვი, წვრილფეხა პირუტყვი.

გამოყენების მეთოდი, დოზირება

პრეპარატი შეჰყავთ ინტრაცისტერნალურად

მსხვილფეხა პირუტყვი (მშრალობის პერიოდში გადასვლისას): თითო შპრიცი (10 მლ) შეჰყავთ ცურის თითოეულ მეოთხედში ერთჯერადი დოზის სახით.

წვრილფეხა პირუტყვი: ზემოაღნიშნული დოზის ნახევარი (5 მლ) ცურის თითოეულ მეოთხედში ერთჯერადი დოზის სახით.

ლოდინის პერიოდი

ხორცი: 28 დღე.

რძე: არ გამოიყენოთ იმ ცხოველებში, რომელთა მშრალობის პერიოდი 4 კვირაზე ნაკლებია, რძეში ნარჩენების თავიდან ასაცილებლად.

სპეციალური გაფრთხილებები

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები თითოეული სამიზნე ცხოველებში გამოყენებისას: პრეპარატის შეყვანა ხდება მშრალობის პერიოდის დასაწყებისთანავე. პრეპარატის შეყვანამდე რძეს წველიან ცურის ოთხივე მეოთხედიდან, ცურთითებს ამუშავებენ სადეზინფექციო ხსნარით. კათეტერი ან ინექტორის მილი მოათავსეთ დვრილის არხში და ფრთხილად შეიყვანეთ პრეპარატი. კათეტერის ან ინექტორის მილის ამოღების შემდეგ მოუჭირეთ დვრილის სადინარს 1-2 წთ-ის განმავლობაში. პრეპარატის უკეთ განაწილების მიზნით პრეპარატის შეყვანის შემდეგ ტარდება ცურის მსუბუქი მასაჟი.

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები, რომელიც უნდა დაიცვან პირებმა, რომლებიც ანხორციელებენ ვეტერინარული პრეპარატის გამოყენებას ცხოველებზე: პრეპარატთან მუშაობისას დაცული უნდა იყოს პირადი ჰიგიენის და ვეტერინარიულ პრეპარატებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები. პრეპარატის მიმართ ცნობილი ჰიპერმგრძნობელობის მქონე პირები უნდა მოერიდონ ვეტერინარულ პრეპარატთან კონტაქტს. მოარიდეთ კანთან ან თვალებთან კონტაქტს. პრეპარატის გამოყენებისას ყოველთვის ატარეთ ერთჯერადი გამოყენების ხელთათმანები. სამუშაოს დასრულების შემდეგ ხელები უნდა დაიბანოთ საპნით და გამდინარე წყლით.

ურთიერთზემოქმედება: პრეპარატი არ გამოიყენოთ სხვა ბაქტერიოსტატიკურ ანტიბიოტიკებთან ერთად.

დოზის გადაჭარბება: ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას პრეპარატის დოზის გადაჭარბება ნაკლებად სავარაუდოა.

შენახვის პირობები

ინახება მშრალ გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 15-25°C-ზე.
ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

უტილიზაცია

არ გადაყაროთ კანალიზაციაში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. გამოუყენებელი პროდუქტის და/ან მისი შეფუთვის სათანადო განადგურებისთვის დაეკითხეთ თქვენს ვეტერინარს, ეს ზომები ეხმარება გარემოს დაცვას.

გამოშვების ფორმა: 10 მლ ერთდოზიან პოლიეთილენის შპრიცში.

ვეტერინარული გამოყენებისთვის.

პრეპარატი ინახება ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბეტა-ლაქტამური ანტიბაქტერიული საშუალება, პენიცილინი ინტრაცისტერნალური გამოყენებისთვის. ATC vet code- QJ51CF02 cloxacillin

მწარმოებელი: შპს „ბიოტეკსი“, საქართველო, თბილისი, იუმაშევის #8.